№ 406. შაბათი, 20 დეკემბერი. 1896—1897 შაბათი, 20 დეკემბერი. № 406.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე ადამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4, მან
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ
მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

კვირას, 21 დეკემბერს
გამართულ იქნება ტფილისის სობრანიეში „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ

კონცერტი,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი სარაჯიშვილისა და ბ-ნნი აკაკი, ველიჩკო, გ. დ. აბაშიძე, კნინა, კარგარეთელი, სარაჯიშვილი, ყარაშვილი და საერო ხორო კავსაძისა და მჭედლიშვილისა.
კონცერტის შემდეგ იქნება ცეკვა
დასაწყისი $8^1/_2$ საათზე
ბილეთები ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, ხოლო კონცერტის დღეს თვით სობრანიეში შესავალთან.

ქართული თეატრი

კვირას, 21 დეკემბერს
ქართული დრამატიული დასისაგან ე. ს. მესხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება
პირველად ამ სეზონში

და-ძმა

ისტორიული დრამა 5 მოქმ. ვ. გუნიას-მიერ.
მარინეს როლს ასრულებს **ე. ს. მესხი**, ოტიას ჯოღიას პირველად — **კ. მესხი**, ადამის — ბ. გამრეკელიძე
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი **ეფ. მესხისა**, ჩერქეზიშვილისა. ბ-ნნი მესხი, გედევანოვი, გამყრელიძე, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, თამაზიშვილი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე რეჟისორი **კ. მესხი.**

თავ. ილ. გრ. ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტის თავჯდომარე ამით აცხადებს, რომ კომიტეტი დღეის რიცხვიდამ ორი თვის განმავლობაში, ესე იგი პირველ თებერვლამდის მომავალის 1898 წლისა, მსურველთაგან მიიღებს თავისს თავმჯდომარის სახელობაზე სახელმძღვანელოდ ყოველ-გვარს მოსაზრებას საიუბილეო დღესასწაულის შესახებ.
ადრესი: ქრისტეფორე იოსების ძე მამაცაშვილი, სათავად-აზნაურო ბანკში, ტფილისი. (10—10)

ფორტოპიანოს ქარხანა

ა. კოპპისა

მიხეილის ქუჩა № 132, ტფილისში
ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ იგი ამზადებს და აკეთებს ფორტოპიანოებს თავისს ქარხანაში ახალის საქვეყნოდ ცნობილის მექარხნეს **ბლუტნერის** წეს-რიგით დ მოწყობით სიმტკიცე და სისწორე-სიწმინდე საქმისა საგანგებოა

Фортепіанная фабрика А. Коппъ
Тифлисъ, Михайловская ул. № 132
Приготовленіе піанино по новѣйшей конструкціи
всемірно извѣстной фабрики Блютнера
За пѣвучесть тона и прочность полное ручательство (25—4)

დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

ხე-ტყის ქარხანა

კოდორი (სოხუმის ოლქში)
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და სხვა სისქისა და განისა.
ფასი მასალებისა მეტად იაფია
უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანასმიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩამჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ფოსტის ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе, или Очемчиры, Т. Чачава.*
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. (300—274)

საჩუქრები და ფეშქაშები

საშობაოდ და საახალწლოდ
ისყიდება
პანცერისა და გლუხოვსკის
საწყობში
მშვენიერი და მსუბუქი საკერავი მანქანები
დიასახლისებისა და გასათხოვარ ქალებისათვის
ყიდვა შეიძლება შეღავათიანის პირობებით

Подарокъ на Елку
Всѣмъ хозяйкамъ
Панцеръ и Глуховскій — СКЛАДЪ ШВЕЙНЫХЪ МАШИНЪ и ВЕЛОСИПЕДЫ изъ лучшихъ фирмъ
(10—8)
Тифлисъ, Дворцовая, д. Сараджева (во дворѣ)

გამოვიდა და ისყიდება
წ. კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიებში

გლეხი-კაცის ისტორია

ერკმან შატრიანისა
თარგმანი ფრანგულით **ივ. მაჭავარიანისა**
ფასი სამი აბაზი
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური
წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივად დაეთმობათ.
იქვე ისყიდება 3 მოქმ. დრამა პოლ ერვიესი

„ბრჭყალები“

თარგმანი ივ. მაჭავარიანისა
ფასი 30 კაპ. (34)

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის

ნ. დიდებულიძისა

ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხერხეულოვის სახ. № 146.
ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.
ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოსწავლენი სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონზე)
მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.

Пансіонъ и училище
Учительницы
Н. ДИДЕБУЛИДЗЕ
Тифлисъ, Михайловск. ул. № 146.
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержаніемъ для ученицъ гимназіи. Обученіе музыкѣ
(150—51)

გამოვიდა
ახალი ქართული წიგნი

ივდითი

ტრაგედია ხუთ მოქმედებად
ჯიაკომეტისა
თარგმანი ივ. მაჭავარიანისა
ფასი 30 კაპ. (15—10)

დაიბეჭდა და იყიდება
გრიგოლ განმანათლებელის
მიერ ანგელოზის ხილვა
და მისგან გამოკითხვა
შედგენილი და გამოცემული გასილ გ. ქორჩილავას მიერ
ფასი ორი შაური
ვინც ამს წიგნს ერთად იყიდის გამომცემლისაგან ბათომში, დაეთმობა 30%. (30—24)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა.
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ-იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სიფილისი, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.
ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: **შინაგანი**, თვალისა და ნერვებისა.
ექიმი ქალი **რუდნევა** $10^1/_2$—$11^1/_2$ ს. ბავშვებისა და ქალების ავადმყოფ. და ყურის ყვავილს.
ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის $11^1/_2$—12 საათ. ქალთა ავადმყოფობათ.
ი. ფ. პროტასევიჩი 12—1 საათ. ყურების, ცხვირის, ყელის და გულის ტკივილებით.
ა. ფ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.
ა. გ. გურკო. დღით $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობით.
საღამოობით
ა. მ. პუდინოვი. 5—6 საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფ.
ბ. ა. ნავასარდიანცი 6—$6^1/_2$ ს.
ა. ნ. შპაკოვსკი 6—7 საათ. ნერვების, ვენერიულ დ ზედაკანის ავად.
ტ. ი. რუდნევა — სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს ნახველს, სისხლს რძეს და სხვ.
რჩევა — დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერატიებისათვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ვ. თოფურიასი

ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ვ. თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კობანი.**
თვალების ავადმყოფობას — **ი. კ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი **ს. ვ თოფურია.**
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“
რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.
18 დეკემბერი
ბომბეი დღეს 54 კაცი გახდა ავად შავის ჭირით და მათგან 37 მოკვდა. მცხოვრებნი გარბიან ქალაქიდამ. დღემდე ბომბეიში სულ

14,257 კაცი გახდა ავად ჭირითა და მათგან 11, 882 დაიხოცა.

პარიზი. პანამის საქმეს კიდევ ხეიან ჯერ. ხვალ დაიხურება სხდომა.

ვენა. გამოცხადებულია გაუჩისამი იმპერატორის რესკრიპტი რეიხსტაგის კრების დახურვის შესახებ.

ლონდონი. „ტაიმ“-ს ატყობინებენ დეპეშით კასსალოდამ, რომ უმბრი—კასსილოსა და ხართუმს შუა უმთავრესი ნავთ-სადგური, ექვსის დღის ომის შემდეგ უკვე ინგლისელებმა რიშით აუღიათ, თუმცა ეგვიპტელი ჯარები მამაცურად იცავდნენ სიმაგრესა!

ახალი ამბავი

*** **ოზურგეთის პროგიმნაზიის გამო.** ქუთაისის გუბერნიის საერო სკოლების დირექტორის აზრით ოზურგეთში ჯერ ჯერობით უფრო საჭიროა და საძირკვლიანია დაარსდეს სამეურნეო სკოლა, თუმცა დირექტორი პროგიმნაზიის წინააღმდეგია, თურმე.

*** **ქართული სამკითხველო კაგკაზში.** ჩვენ გვატყობინებენ, რომ კავკავში განუზრახავთ წიგნთ-საცავის და სამკითხველოს დაარსება. სამკითხველო, როგორც ამბობენ, მოთავსებული იქნება ივანე მესხიევის წიგნის საცავში.

*** **მოგლეჯილი წისქვილები.** გუშინწინ მტკვარმა მოგლიჯა ვოდოპიანოვის და დეკანოზის იმნაძის წისქვილები და ბორანს მიაჯახა მუხრანიანთ დალმართ ადგილას, ბორანიც და წისქვილიც დაიმტვრა. იმნაძეს წისქვილს არა დაშავებიარა და ხიდზე მირიყა, ხოლო ვოდოპიანოვის წისქვილი წყალმა ჩასძირა საზოგადოდ ამ დღეს ბევრი ზარალი მისცა მტკვარმა მეწისქვილეთ, ბევრი ფქვილი და ხორბალი დაიღუპა.

*** **სასულიერო სემინარიებში პროგრამის შეცვლა.** უწმიდესს სინოდში დაარსებული სამოსწავლო კომიტეტი ამ ჟამად შესდგომია სასულიერო სემინარიების პროგრამათა გადათვალიერებას და შეცვლა-შემუშავებას საჭიროებისა დაგვარად. ახლად შემუშავებულს პროგრამმას წელსვე განიხილავს უწმინდესი სინოდი და მომავალის სამოსწავლო წლიდამ შემოიღებენ კიდეც სახელმძღვანელოდ რუსეთის ყველა სემინარიებში.

*** **ჟურნალ-გაზეთების და წიგნების გამომცემელთა კრება.** შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუწყვეტია, რომ ამ წლის დამლევს მოიწვიოს დრო-გამოშვებით გამოცემათა წარმომადგენელნი სათათბიროთ, სხვა და სხვა საკითხების შესამუშავებლად და, სხვათა შორის, გამოცემათა გასაღების წეს-რიგის გასაუმჯობესებლად ზომების გამოსაკვლევად.

*** **მოსამსახურე ქალთა ამხანაგობა.** პეტერბურგში მოსამსახურე ქალნი ამხანაგობას აარსებენ, რომელსაც მიზნად ექნება „ამხანაგობის“ ყველა წევრთა თავდებობით მსურველთ დაუქირავონ სანდო და პატიოსანი მოსამსახურე ქალნი, რა თქმა უნდა, ასეთი ამხანაგობა ფრიად სასურველია ჩვენის ქალაქისათვის და ეგ გარემოება ერთხელ კიდევ გვაძლევს შემთხვევას ვიკითხოთ თუ რა მდგომარეობაშია „ტფილისის მოსამსახურეთა ამხანაგობის“ საქმე?

*** **ახალი სახელოსნო.** კავკასიის „ოფიცერთა ეკონომიურის საზოგადოების გამგეობას“ განზრახვა აქვს შუამდგომლობა აღძრას, რომ მას ნება მიეცეს ქალაქის ძველ-ბრ-ე ნაწილში ვორონცოვის ქუჩაზე, დოლანოვის სახლებში გამართოს სამდებრო სახელოსნო, რომელშიაც შეედებავენ ხოლმე ფერადებად ხელთათმანებსა და ბუხრის ტყავებს.

*** **სამსახურის თავის დანებება.** გაზ. „კავკაზ“-ს შეუტყვია, რომ მთავარ-მართებლის კანცელარიის ვიცე-დირექტორი პოლკოვნიკი კ. ს. სოლოვიოვი თავს ანებებს თანამდებობას და ისევ სამხედრო სამსახურში გადადის.

*** **დახმარება კავკასიელ სტუდენტებს.** კავკასიის სამოსწავლო ოლქს შუამდგომლობა აღუძრავს, ვის წინაშეც ჯერ-არს, რომ ნივთიერი დახმარება აღმოუჩინონ პეტერბურგის უნივერსიტეტის კავკასიელ ღარიბს სტუდენტებს.

*** **გემის დაშავება.** დეპეშით იუწყებიან ბათომიდამ, რომ შავ ზღვაზე დაშავებულა „აზოვის საზოგადოების“ გემი «ნოვოროსსიისკი». მგზავრი კი არავინ დამხვრჩვალა. უმეტესი ნაწილი ბარგისა ზღვაში გადაუყრიათ. „რუსის საზოგადოების“ გემს „ოლგას“ ფოთის მაგივრად ღელვამ ტრაპიზონში ამოაყოფინა, თურმე, თავი.

*** **ქალაქის გამგეობის წევრის არჩევანი.** წარსულს ორშაბათს, 15 დეკემბერს, ქალაქის საბჭოში უნდა მომხდარიყო გამგეობის წევრის არჩევა ბ. ხოსროევის მაგივრად, რომელსაც ვადა გაუთავდა სამსახურისა, მაგრამ, ჩვეულებისამებრ, უთავბოლო «ლაპარაკს» გადაჰყვნენ და ველარ მოასწრეს, ეხლა ხელ-ახლავ დაუნიშნავთ არჩევანები მომავალის ორშაბათისათვის, 22 დეკემბერს

*** **სამეურნეო სასწავლებელი თბილისში.** ამ ჟამად საგანგებო კომისსია კავკასიაში მეურნეობის მინისტრის რწმუნებულის ბ. მედვედიევის ხელმძღვანელობით, ცნობებსა ჰკრებს და უნდა შეიმუშავოს გეგმა მომავალის სამეურნეო სასწავლებლისა, რომელიც უნდა დაარსდეს სოფ. ცძისში თავ. ზ. გ. ერისთავის მამულში.

*** **სახალხო ქართული თეატრი.** ჩვენ გავიგეთ ფრიად სასიამოვნო ამბავი, რომ ბევრის მეცადინეობისა და მოლოდინის შემდეგ ბ. ი. ქუთათელაძეს აუღია ადმინისტრაციისაგან ნება-რთვა გამართოს ხოლმე ქართული წარმოდგენები მდაბიო და მუშა-ხალხისათვის. წარმოდგენები, როგორც შევიტყვეთ გაიმართება «ავჭალის სასადილოში». პირველი წარმოდგენა იმ კვირაში გაიმართება და ითამაშებენ თავ. გიორ. ერისთავის კომედიას «გაყრას». იმედია, ხალხი ბლომად დაესწრება ხოლმე, მით უმეტეს, რომ ფასი ძლიერ იაფი იქნება, სულ 5 კ. თითოეულს სულზე. ვუსურვებთ რა გამარჯვებასა და წარმატებას სასარგებლო საქმეს, ვიმედოვნებთ, რომ სცენის მოყვარენი ბეჯითად მოეკიდებიან თავიანთს მოვალეობას და მით დიდს სამსახურს გაუწევენ მუშა ხალხს.

*** **ისევ საინტერესო წიგნის გამო.** „ცნ. ფურც.“ მე 400 №-ში დაბეჭდილი იყო პატარა შენიშვნა ვინმე ქართულ გამოცემათა მოყვარისა, რომელიც აცხადებდა გაკვირვებას, თუ რა იქნა აქნობამდე ორი წლის წინად დაპირებული გამოსაცემად წიგნი თ. რაფიელ ერისთავის იუბილეის შესახებ, რომლის შედგენასაც საზოგადოებას ბ. ლოდაშვილი დაჰპირდა და გამოცემას ე. ხელაძე. ამასთან გამოცემათა მოყვარე დასძენდა, რომ შეეტყობინებინათ საზოგადოებისთვის: გამოვა თუ არა ხსენებული წიგნი და თუ გამოვა, როდისო? ამ შენიშვნის შემდეგ საჭიროდ მიმაჩნია ორიოდე სიტყვა გამოვთქვა ამ საქმის შესახებ: ხსენებული წიგნის შედგენა იკისრა ბ-ნ კ. ლოდაშვილმა, ხოლო გამოცემა, თქვენმა მორჩილმა მონამ. მაშინვე შევუდგით საქმეს, შარშან შემოდგომას ნებართვა და მასალების მიწოდებისთანავე დავიწყე ბეჭვდა ამა წლის თებერვალს. მცირეს ხანს დაიბეჭდა წიგნის ორი მესამედი და მალე სრულებითაც გათავდებოდა, რომ ბ-ნ ლოდაშვილს მოეწოდებინა საჭირო მასალა, მაგრამ გავიდა რამოდენიმე ხანი და მასალა ველარ ჩავიგდე ხელში, გარდა ჟურნალ.-გაზეთებში დაბეჭდილ წერილებისა. იძულებული ვიყავი შემეჩერებინა წიგნის დათავება და მომეთხოვა ბ-ნ ლოდაშვილისთვის დარჩენილი მასალა. იმ დღიდან აქნობამდის ვეხვეწები ბ-ნ ლოდაშვილს, ხან პირადათ და ხან წერილებით, ბოლო მოეღო ამ საქმისათვის: გადმოეცა წიგნის დასათავებლათ საჭირო მასალა, ან და ეთქვა გადაწყვეტილი პასუხი: კისრულობს თუ არა წიგნის შედგენას და დროზედ გამოსაცემად გადმოცემას, რომ მეც ჩემის მხრივ შევცდილვიყავ ამეხსნა თავიდამ ის მოვალეობა, რომელიც თავს ნადები მქონდა და მაქვს საზოგადოების წინაშე ამ წიგნის გამო. ბ-ნმა ლოდაშვილმა კი სრულებით ყურადღება არ ათხოვა ჩემს თხოვნას და წიგნის დასათავებლად საჭირო მასალა დღემდის არ გადმომცა და არც ვიცი, მოიტანს თუ არა?. ამ პირობების გამო საქმე შეჩერებულია და, სრულებით ჩემდა დამოუკიდებელი მიზეზების გამო, კისრად მედება საზოგადოებისაგან ღირსეული სამდურავი. საჭიროდ მიმაჩნია, რომ ეს საქმე დროზედ გამოირკვეს, ვისგანაც დამოკიდებულია, და მით მომეცეს შემთხვევა ჩამოვიხსნა თავიდამ სრულებით უმიზეზოთ ჩემის მხრივ გამოწვეული პასუხის-გება საზოგადოების წინაშე. წინააღმდეგ შემთხვევაში ის შრომა, რომელიც გავწიე წიგნის ორი მესამედის დასაბეჭდათ, ან უნდა ჩავთვალო დაკარგულათ და სრულებით უმნიშვნელოთ, თუ ბ-ნს ლოდაშვილს დრო არა აქვს ამ წიგნის დასრულებისა, სხვას მივანდო ეს შრომა დასამთავრებლად.

ექვთიმე ხელაძე.

*** **განმარტება.** (ფარმაცევტებში შეგროვილი ფულის გამო.) ბ-ნო რედაქტორო? „ცნობ. ფურც“ 399 №-ში, სხვათა შორის მოთავსებული იყო ბ-ნი ი. აბაშიძის წერილი, რომლიდგანაც სჩანს, რომ მას რამდენიმე ამხანაგები, რომელთა თავ. რაფიელ ერისთავის საიუბილეოდ ჰქონდათ ფული შემოტანილი, წერილებით დაჰკითხებიან: „როგორ არის შეგროვილი ფულის ანგარიშიო?“ რადგან ი. აბაშიძე მოწადინებულია როგორც თვითონ, ისე ჩვენც აგვაცდინოს „ყოველგვარს ჭირსა და მითქმა-მოთქმას“, ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერნი უმორჩილესად გთხოვთ მოგვცეთ ნება თქვენის გაზეთის საშვალებით, სანამ ფულის შემომწირველთა სიას წარმოვადგენდეთ, გამოვაქვეყნოთ რა დანიშნულებას მოხმარდა გაწეულს ხარჯს გადარჩენილი ფული.

იმ დროს, როცა ფული უნდა გადაგვეცა „ივერიის“ რედაქციისათვის ფონდის მისამატებლად, ერთი ჩვენი ამხანაგთაგანი ფარმაცევტი ავადგახდა, რის მიზეზითაც ადგილისათვის თავი უნდა დაენებებინა. ამხანაგური გრძნობა მოითხოვდა ავადმყოფისა და ნივთიერად შევიწროებულის ამხანაგისათვის რაიმე დახმარება აღმოგვეჩინა, მაშინ მისი თხოვნისამებრ საფონდოთ მიჩნეული ფული ვასესხეთ მას იმ პირობით, რომ ორი წლის განმავლობაში ნაწილ ნაწილად ან თუ შეეძლებოდა ერთად შემოეტანა. ყოველს ამხანაგს, ვისაც ადრესი ვიცოდით ან თვით დაგვეკითხა, ფულის გასესხება ვაცნობეთ და ი. აბაშიძეც რომ დაგვკითხებოდა, უეჭველია, ყოველისფერს დაწვრილებით შეიტყობდა და ერთს ჩვენთაგანზე გავრცელებულის „ჭორსა და მითქმი-მოთქმას“ თვისის წერილით ჭორსავე ზედ არ წაამატებდა; გვიკვირს, რად დასჭირდა ბ. აბაშიძეს იუბილიარის მისალოცავად გაწეულ ხარჯის შემცირება ან ფულის შემომწირველნი რისთვის უნდა დაჰკითხებოდნენ მას. სად ინახება ფონდისათვის გადადებული ფულიო, როდესაც ი. აბაშიძეს არავითარი ახლო მონაწილეობა არ მიუღია: ფულის შეგროვება არც თვითონ უკისრნია და არც არავის მისთვის დაუვალებია?

გასესხებული ფული პირობისამებრ ნაწილ-ნაწილათ შემოაქვს მსესხებელს. ამ მოკლე ხანში ხსენებულს ფულს გარდავსცემთ «ივერიის» რედაქციას და ყოველივე მის შესახებ ანგარიშს იქავე გამოვაცხადებთ.

ამ საქმის ვითარების მცოდნენი: პლატონ ბურდული ანდრეი გრ. ჩხეიძე. ი. კვალიაშვილი.

*** **მწიგნობრობა.** ქალი და მისი მნიშვნელობა ა. ტატუნაშვილისა, ფასი 20 კაპ. ჩვენ მივიღეთ ზემოდ აღნიშნული სათაურის წიგნი, რომელიც ფრიად სასიამოვნო ზედ-გავლენას ახდენს მკითხველზე. წიგნში მკაფიოდ და მარტივად მოთხრობილია ბ-ნ ტატუნაშვილის მიერ ამბავი ქალისა და მისი მნიშვნელობა. ავტორს თავისი ნაამბობი დასაბუთებული აქვს მრავალის მაგალითებით, უფრო, რა თქმა უნდა, უცხო ხალხთა და ქვეყნების ცხოვრებიდან, აშკარაა, რომ ბ-ნ ტატუნაშვილს წერის დროს ხელ-ქვეშ ჰქონია განსაკუთრებით უცხო მასალები და არა ჩვენებური; საზოგადოდ ა. ტატუნაშვილის შრომას, მიუხედავად მისი კომპილატიურ ხასიათისა (ესე იგი შედგენილი და ამოწერილი სხვა-და-სხვა წიგნებიდან), ნათლად ეტყობა საგნის ყოველ-მხრივ აწონ-დაწონვა, საკმაოდ შესწავლა და თან დიდი სურვილი სარგებლობის მოტანისა და თავისი გულ-წრფელი წვლილის შემოტანისა ჩვენებურ ქალთა დაწინაურებაში. წიგნი სასიამოვნო და ადვილი საკითხავია, შეიცავს $3^1/_2$ ბეჭდურ თაბახს (72 გვერდს), სუფთად და კარგს ქაღალდზეა დაბეჭდილი ეჰვ. ხელაძის სტამბაში და როგორც ზემოდ არის აღნიშნული, იაფად ღირს—სულ ერთი აბაზი. ჩვენ ყველას ვურჩევთ ამ პატარა წიგნის შეძენას.

W

კედლის კალენდარი 1898 წლის გრ. ჩარკვიანის გამოცემა. ეს ათი წელიწადია, რაც გრ. ჩარკვიანი საამხანაგოდ სცემს ქართულ კედლის კალენდარს, რომელმაც კარგა დიდი ბაზარი მოიპოვა საქართველოში. კალენდარი სრულად არის შედგენილი და შეიცავს მრავალ საკალენდარო ცნობათა გარდა ქართველ წმიდათა ცხოვრების მოკლე აღწერას; შთამომავლობას საქართვ. მეფეთა გიორგი მეცამეტემდე, ნარკვევს და სხ. კალენდარზე აღბეჭდილია ანტონ კათალიკოზის სურათი. საზოგადოდ კალენდარი სუფთად და ლამაზად არის გამოცემული და ღირს 40 კ.

*** **ქუთაისი.** ისევ გაზრდილი სამკითხველოზე. ზოგიერთს ადამიანს არც განათლება ჰშველის ხოლმე, არც განვითარება; ავკაცობა ზოგიერთს ვერაფერი მოაშლევინებს საქმე ის არის, რომ გაბრიელის სამკითხველოდან შეიძლება წიგნების გატანა სახლში წასაკითხად, ვინც 50 კ. წინდრად დასტოვებს, ხოლო წიგნი-კი ხშირად ორი-სამი მანათი ღირს. ზოგიერთებს, თურმე, ამ გარემოებით უსარგებლნიათ და რა ერთი ხანია წაღებულ წიგნებს უკან აღარ აბრუნებენ და პირიქით თავიანთ თავს «მოგებულად» სთვლიან. სასურველია, რომ ასეთი პატიოსნება დახშული პირები სამკითხველოს გამგეობამ როგორმე დასაჯოს სხვების სამაგალითოდ. ჩვენა გვგონია, რომ ორი-სამი მოგონებისა და გაფრთხილების შემდეგ მათი სახელი და გვარები უნდა გამოქვეყნდეს გაზეთებში და გამოცხადდეს აგრეთვე ბიბლიოთეკაშიაც ქაღალდზე, რომელიც იქვე კედელზე უნდა გაიკრას.

გოჩა

*** **პეტროვსკი.** (დაღისტანი). ქართველ ყაზახ მუშათა მდგომარეობა. აქედგან დარუბინდამდე რკინის გზას აკეთებენ ოთხს ადგილას სადგურები უკვე ააგეს, შემდეგის სახელებითა: მანასტი ბუინაკი კაი-კენტი და მამედ-კალა; ამ ოთხ სადგურებზედ თითქმის გამოულევლად შეხვდებოდით ქართველ მუშა ყაზახებსა, მაგრამ ვაი იმ მუშაობას ისე დაბრუნდნენ შინისაკენ, რომ კინაღამ ტყავიც იქ დარჩათ. ჩვენ შიაო, ასე მიამბეს, ერთი მოხუცებული კაციაო ასე, რომ ას წლისაზედ მეტი თუ არა ნაკლები აღარ იქნებაო ჩვენ რომ აქეთ მოვდიო

დით, იმან არ გვირჩია წამოსვლაო და დახე, რომ მართალი გამოდგა იმისი სიტყვაო! იქაო, (დარუბანდში) ასე გვითხრა მოხუცმა, მთელ ქალაქს ციხე-კედელი აქვს შემოკრული, ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადების წინეთ საქართველოს მეფემ მირიანმ ააშენაო და ეხლა-კი ამ ძველის-ძველს ნაშთს ხალხი აქცევს და ანადგურებსო და შვილებო თქვენ მაინც ნუ მიეკარებით, დაე ვინც რა უნდა ქნასო.. აბა დახედე იმ მოხუცის სიტყვის სიმართლესო და! რა გვსჯოდა რა მოგვარბეინებდა და ისიც ამ ცივს ზამთარშიო?. მუშები დიდხანს აღარ იცდიდენ და პირველისავე მატარებლით დაბრუნდნენ შინისაკენ.

— მადლობა შემოწირულებისათვის. შარშან იანვრის 14, წმინდა ნინოობა დღეს აქა ყოფილა ერთი ქართველი «ვინმე დათიკო» (როგორც თვით მწერს) და დასწრებია ქართულ წირვა ლოცვასა და ნიშნათ თანაგრძნობის გამოუგზავნია 25 ცალი წმინდა ნინოს სურათები ქართველ მლოცავთა შორის დასარიგებლად «ნინოობას» ეკლესიაში. კერძოთ მე და საზოგადოთ პეტროვსკელი ქართველობა დიდათ ვმადლობთ შემოწირულებისათვის.

გიგო თოიძე

*** ახალ-სენაკი. სამი მანათიანების დაწუნება. აქ ახალი ის არის, რომ 1865 წლის ქაღალდის სამ მანეთიან ფულს არ ღებულობენ, რადგანაც ყალბი გამომდგარა ზოგიერთები ყალბს ვინ ოხერი ინაღვლებსო, გაიძახის ხალხი, როდესაც ნამდვილსაც არ იღებენო. მართლაც აქაური მოვაჭრეები არც ერთი არ იღებს სამ მანეთიან ქაღალდის ფულს ამის გამო ხალხი დიდად შეწუხებულია, რადგანაც ზოგიერთებს შავდღისათვის შეენახათ და რა-კი შეიტყეს, რომ არ იღებენო, დასახურდავებლად სენაკში მოარბენინეს, მაგრამ ვინ აიღებდა... ნუ თუ ნამდვილსაც არ მიიღებენ? მაგრამ ეს ძნელი დასაჯერებელია, რადგანაც ოფიციალურად «3» მანეთიანის შესახებ არაფერია ჯერ...

— ძაღლების დახოცვა. აქამდისინ ისე ვიყავით შეწუხებულნი, რომ ქუჩებში ევიპირდა გამოსვლა, რადგანაც სენაკის ახლო-მახლო სოფლებიდამ იმდენი ძაღლები გროვდებოდნენ რომ ძნელად თუ კაცი უხიფათოდ გადაურჩებოდა იმათს კბილებს. ამას წინად ძაღლებს ხროვამ კინაღამ ერთი მანდილოსანი გაგლიჯა. როგორც იყო ამ დღეში კიდეც დაიწყეს ამ ძაღლების ხოცვა, რადგან კინაღამ ერთი მოხელე დაუგლეჯიათ! ნათქვამია, ძაღლი ვინც მოჰკლა, იმან გადაათრიაო. ჩვენში ქუჩებში დახოცილი ძაღლების მძოვრები გდია. ამიტომ ძალიან კარგი იქნება, მადლს მარილიც მოაყარონ და ძაღლების ლეშები შორს სადმე მიწაში ჩააყრევინონ!

— დიდი თოვლი. ეს ერთი კვირაა, რაც ბუნებამ ფერი იცვალა ხან თოვლ-ჭყაპი და ან ქარ-ბუქი თითქმის ერთმანეთს ეჯიბრება. 15 ამ თთვეს, ბარად ერთი ალაბი თოვლი დასდო. მთებში კი ალაბ-ნახევარი ძევხო. თუ ცოტა კიდევ დაუმატა, მაშინ სადგურებს უნდა გამოვემშვიდობოთ. 15-დან განუწყვეტლივ თოვს და თოვს!

ტელეფონი

*** დ. გუდაუთა (აფხაზეთი). ჩარჩების თავ-გასულობა. როგორც მკითხველებს მოეხსენება, გუდაუთაში საკმაოდ დიდი ბაზარია, დუქნებიც ბევრია და მცხოვრებნიც ბლომად ახლავს; ბედზე სოფლებიც ისეთებია მეზობლად, რომ დიდძალი სანოვაგე, სხვა-და-სხვა ხელ-საქმე და ხილეულობა მოაქვთ ხოლმე გასასყიდად, მაგრამ უბედურება ეს არის, რომ საბრალო სოფლელს ბაზარში არავინ შემოუშვებს: დახვდებიან მოშორებით გზაზე ჩარჩები და ალაჰმა უწყის, რა ოინებითა და ხერხით ნახევრის ფასად დასტყუებენ ნაშრომ-ნაღვაწევსა. მერმე-კი ეგ ვაჟბატონები ჩალის ფასად ნაშოვნს საქონელს მამა-სისხლად ჰყიდიან. საბრალო გლეხმა არც-კი იცის, თუ რა ფასი და მაზანდა აქვს ბაზარში მისს ნაშრომ-ნადავს. ამ ჩარჩებმა გაიშენეს რაღაც ფაცხები ტყეში გზის პირად, ვითომ ვვაჭრობთო და გამვლელსა და გამომვლელს ტყავს აძრობენ. სწორედ დარაჯის კარავი გეგონებათ, ის დუქნები რომ ნახოთ!

ერთის შემაძრწუნებელის მაგალითის მოწმე გახლდით მე თითონ: ერთს აფხაზს სოფლიდამ ყველი მოჰქონდა ბაზარში გასასყიდად; შუჩქებში ჩასაფრებული ერთი პატარა თათრის ბიჭი დაუხვდა, გზა გადაუჭრა და ვაჭრობა დაუწყო; მორიგდნენ და თათრის ბიჭს უნდა მიეცა ამ ყველში გირვანქა ნახევარი შაქარი და სამი გირვანქა საპონი; ჩაიყვანა ბაზარში და ერთის სომხის დუქანში აუწონა ერთი გირვანქა შაქარი (გირვანქა ნახევრის მაგივრად) და ორი გირვანქა საპონი (სამი გირვანქის მაგივრად) და გაისტუმრა უბირი კაცი... ასეთს მაგალითებს ბევრს ჩამოვთვლიდი, მაგრამ თავი რად მოგაწყინოთ, როდესაც უჩემოდაც ყველამ კარგად უწყის, თუ რა მდგომარეობაში არიან დღეს-დღეობით საზოგადოდ სოფლელნი ამ ჩარჩებისაგან. მე მხოლოდ მინდოდა აღმენიშნა, რომ აფხაზეთში ამ წვრილ ჩარჩობამ საოცრად გაიდგა ფესვები, საბრალო გლეხის ნაწარმოებს სრულებით უკარგვენ ფასს და გლეხიც, რასაკვირველია, გულს იცრუებს შრომაზე და ზარმაცდება. ან-კი რა ხალისი უნდა იქონიოს საბრალომ, თუ მისს ნაშრომში მეხუთედს ფასსაც-კი ვერ აიღებს.—ეგ უბედურება დღეს გადამდებ სენად გადაიქცა და ეჭვი არ არის მთავრობა ფიცხელს ზომებს მიიღებს მისდა მოსასპობლად: რაიც მის ზნეობრივსა და კანონიერ მოვალეობას შეადგენს.

კლდე ალექსანდრეს ძე

*** დ. ოჩამჩირე (სამურზაყანო). დახობლებული ფანრის ბოძი. კარგა ხანია შევჩერებივართ ჩვენს დაბაში ერთს ფანრის ბოძს, რომელსაც არავინ ყურადღებას არ აქცევს; ადრე პატივში იყო ეგ ბოძი: თითქმის ყოველს საღამოს მოვიდოდა ხოლმე საგანგებოდ დანიშნული კაცი, გადაავლებდა ხელს და თავზე ბრწყინვალე გვირგვინს დასდგამდა, მაგრამ ეს რამოდენიმე ხანია რაც, საუბედუროდ, იმ ბოძის მახლობლად შენობაში «აზოვის ზღვაოსნობის საზოგადოების» კანტორა მოათავსეს და სწორეთ იმ დღიდამ ჩააქრეს იქ ფარანი: დაბის გამგე დეპუტატები გაიძახიან: ფარანი კანტორამ უნდა გაანათოსო! კანტორა რასაკვირველია, არ ჰკისრულობს ფანრის განათებას და ამბობს: «ჩვენ თუ სინათლე გვჭირია, გვაქვს კიდეც ფანარიო, იკითხეთ თქვენ, თორემ ჩვენ არა გვიშავსრაო!» ამასობაში ჩვენ, იმ ქუჩაზე მიმოვალნი კისერს ვიტეხთ სიბნელეში, მით უმეტესს, რომ საზოგადოდ ოჩემჩირის ქუჩებზე დღისითაც კისერს მოიტეხს ადამიანი და ღამით რაღა იქნება, თქვენც მიხვდებით! იმედია, რომ დაბის დეპუტატები ყურადღებას მიაქცევენ ამ გარემოებას და თუ მაინცა და მაინც იმ ფანრის განათებას არ ინებებენ ცარიელი ბოძი მაინც მოგვაშორონ ქუჩიდამ, თორემ ზედ შუბლს ვიმტვრევთ ხოლმე.

san—აია

*** კახეთი. რა ხდება სოფლად? ეხლანდელს ჩვენს სოფლების ყოფა-მდგომარეობას რომ ფხიზელის თვალით ჩაუკვირდეთ და სიღრმეში ჩახედოთ, თვალწინ წარმოგიდგებათ მთელი ყარამანიანი შიგ მოხსენებულის ნარგიზ მოყალ მეჯადოებით! სამაზრო ქალაქ სიღნაღზედ ასე 24—25 ვერსის მანძილზედ ძევს ს. ჩუმლაყი, რომელშიაც სცხოვრობს სულ 200 თუ 240 კომლი, რომლის მცხოვრებთა სიღარიბეს, მათს გაჭირებით სიბნელეს, სწორედ მოგახსენოთ, ვერ ასწერს კაცი, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ იმოდენა საძაგლობა-კი, რაც ამ სოფელში ჰხდება, თურაჲ, ზოგს ზღაპარი ეგონება. იმდენად დახელოვნებულნი არიან, თურმე ზოგიერთი ქალ-ვაჟიანები სხვა და სხვა ჯადოსნობასა და წამლების გაკეთებაში, რომ ვისაც გნებავთ მოინარეკლებენ, ვისაც გნებავთ შეგაყვარებენ, შეგაძულებენ, ვისაც გნებავთ დაგიმორჩილ-დაგიმონავებენ, ერთი სიტყვით, რაც უნდათ და როგორც უნდათ, იმას მოახდენენ, დამოკიდებულია მხოლოდ იმაზედ, ვის როგორ ამოიღებენ თვალში თავიანთს მსხვერპლად. აი უტყუარი და ნამდვილი მაგალითებიც ჩუმლაყოელების ცხოვრებიდამ.

პირველი მაგალითი. ამ რამდენიმე ხნის წინად ერთს პატარა დუქანში მოეყარნათ რამდენსამე ადგილობრივს მცხოვრებთ თავი და ერთად—მეზობლურად შეექცეოდნენ ღვინის სმით. დუქნის პატრონიც ს. მ—ვი მათთან ბრძანდებოდა და, რადგანაც სოფლად „დონ-ჟუანობს“ ან როგორც აქ ამბობენ კატა-სუნობსო, იცნობს ყოველი ოჯახის დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ რძალს, უფრო მხიარულად ატარებს დროს. ქეიფში შესვლის დროს იღებს ხელში ჩვენს მიერ დასახელებულ სოფლის დონჟუნს, სტაქანს და სვამს შემდეგს სადღეგრძელოს: ეს ღმერთმა აცოცხლოს ის ოჯახი, რომელ ოჯახშიაც ლამაზი რძალი და ლამაზი ქვრივი არისო. ერთს იქ მყოფ გ. მ—ლს ეს უწმაწური სადღეგრძელო არ მოეწონა, რადგანაც იგრძნო ისარი, საით იყო ნატყორცნი და ადგა მაშინათვე შინ წასასვლელად, მაგრამ დანარჩენთ არ გაუშვეს და იქამდისინ შეაფერხეს, ვიდრე ერთს სტაქანს ღვინოს დაალევინებდნენ, მაგრამ წარმოიდგინეთ იმისი უბედურება, რომ იმ სტაქანის ღვინის დალევა და კაცის ავად გახდომა ერთი იყო. მერე ისიც როგორის ავადმყოფობით. დასივდა მაშინათვე და გარდა ამ დასიებისა პირის სახეზედ და მთელს ხელ-მკლავებზედ გადასძვრა ტყავი. იმ სტაქნით, რომლითაც მ—ლმა დალია ღვინო, მის მახლობლად მყოფს ს. კ—შვილსაც დაელივნა და მაშინვე ისიც გამხდარიყო ავად, მხოლოდ ისე-კი არა, როგორც მ—შვილი. როგორის ავადმყოფობით არის ავად საბრალო მ—შვილი, თქვენ გამოიცანით მკითხველო და მე ნება მიბოძეთ სხვა მაგალითებიც მოგახსენოთ.

მეორე მაგალითი. ისევ ჩუმლაყში ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი კაცის ცოლი, თურმე, ძრიელ მისდევს თავისუფლებას. ქმარმა ეს ვერ მოითმინა და დაუწყო აღკრძალვა ცოლს —მეუღლეს თავისუფალი ქცევა. ცოლმა თუმცა არ დაიმალა და უფრო სითამამით გაუხსნა გზა თავის საქციელს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ცოლს ეხლა არამც თუ უშლის, არამედ თვით მოწამეა ყოველგვარ იმის საძაგლობისა და ხმას არ იღებს, რატომ? იმიტომ რომ საცოდავი მხნე ყმაწვილი კაცი, რაღაც მოულოდნელის გზნებით გამტერებული, გამოყეყეჩებული დადის და აღარაფერი გაეგება, ჰსვამს, სჭამს, მუშაობს, ცუდათ არის თუ რას შვრება! თვით მეზობლები დიდის გულისმტკივნეულობით უცქერიან ყმაწვილი კაცის ასეთს მოულოდნელს მდგომარეობას და შველით-კი ვერაფერსა ჰშველიან!

მესამე მაგალითი. ჩუმლაყშივე მცხოვრებელი ან. ყ—ლი, თურმე, ქარებისაგან ზოგჯერ ავადა ხდებოდა და, როგორც ყურ-მოგდებული გლეხ-კაცი ყურადღებას არ აქცევდა ამ თავის მდგომარეობას. ერთს საღამოს ცოტა შეუძლოდ გამხდარიყო მინდვრად და მოიყვანეს თუ არა სახლში, მაშინათვე მიემართნათ ვიღაც მაგ. ნ—შვილისათვის მითოშდა საშველად, მაგრამ რა დალივა მაგდანას მიერ მიცემულის წამლის და კაცის სიკვდილი ერთი იყო ისე, რომ ადგილობრივმა მოძღვარმა, რომელიც ახლო სცხოვრობს, წმიდა ზიარებაც-კი ვერ მიასწრო. რა გაიგო ეს ამბავი მოძღვარმა, რომ სახსალამათი კაცი თითქმის ძალით არის სიცოცხლე მოკლებული, პატრონებს უარი განუცხადა დასაფლავებისა. ადგილობრივმა მოხელემ ოქმით აცნობა კიდეც ეს ამბავი ბოქაულს, მაგრამ შემთხვევამ ჩაილულის წყალი დალია.

მეოთხე მაგალითი. ისევ ჩუმლუყი; ერთი გლეხ-კაცის მ. ჯ—ლის ცოლი—მეუღლეც პატარ-ძლობიდგანვე მისდევდა თავისუფალს ყოფა-ქცევას. ეს ამბავი ქმარმა ძრიელ იუკადრისა და დრო გამოშვებით უშლიდა, მაგრამ თავისდა საუბედუროდ, ერთს დღეს, თურმე, აუვარდა საშინელი პირიდგან საქმობა და როდესაც მორჩა ამ მოულოდნელს სენს, ისე მიამიტად თავის მეუღლის სკივრში, როდესაც ის შინ არ იყო, რაღაცას ეძებდა და ნაძებნის პაპნის მაგიერ, აკი ქაღალდის პატარა პარკი მოჰხვდა ხელში. გახსნა თუ არა პარკი, ნახა, რომ შიგ რაღაც თეთრი მარილის მსგავსი ფხვნილი არის შეხვეული. პირველად თითონაც მარილი ეგონა, მაგრამ, როდესაც დარწმუნდა, რომ მარილი არ იყო და აჩვენა სხვას და აღმოჩნდა რომ... ეს თქვენ თითონ მიხვდით მკითხველო და მე კი იმას მოგახსენებთ, რომ მხოლოდ იმითი გადარჩა შემდეგისათვის მოსალოდნელ უბედურებას, რომ თავისს ერთგულს ცოლს—მეუღლეს იქამდისინ სცემა მოქნილის სახრით, ვიდრე მე და თქვენ მივეშველებოდით...

მე მგონი ამ ჟამად კმარა ეს მაგალითები. დიაღ, კმარა ჩვენის სოფლების და მათში მცხოვრებ გლეხკაცთა ყოფა-ცხოვრების და განსაკუთრებით დედა-კაცთა დასასურათებლად. ეჰ, ვინც სოფელში არ სცხოვრობს, წარმოდგინეთაც ვერ წარმოიდგენს სოფლის დაფარულ ჭირ ვარამს და სატკივარს.

ჰამლეტი

*** ყვირილა. მადლობის გამოცხადება. დიდ მადლობას ვუცხადებ იმათ, რომლებმა ყვირილის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დახმარება აღმოუჩინეს წიგნების შემოწირვით. წიგნები სამკითხველოს გამგეს ალექსანდრე არაბიძეს გადავეცი. შემომწირველთა სია: გერ. ბერიძემ 7 ცალი წიგნი, ღირ. 1 მ. 40 კ.; სინო ყიფშიძემ 1 ცალი—20 კ.; პეტრე მშვიდობაძემ 1 ცალი 50 კ.; მასიკო ჭელიძემ 3 ცალი—25 კ.; მირიან ჭანიშვილმა 1 ცალი—20 კ.; მაქსიმე გაჩეჩილაძემ 1 ცალი 15 კ.; ტრიფონ ნიორაძემ 1 ცალი—10 კ.; სამ. მამალაძემ 1 ცალი—5 კ.; ალექსანდ. არაბიძემ 1 ცალი—40 კ.; ალექსანდ. თაზაგორმა 2 ცალი—25 კ.; ილია მაღლაკელიძემ 6 ცალი—67 კ.; მ. ლ—ემ 1 ცალი ღირებ. 5 კ.; დიმიტრი ხუნდაძემ 1 ცალი—5 კ.; სოლომონ მაჭავარიანმა 1 ცალი 7 კ.; სტეფანე ქოჩორელმა 1 ცალი—15 კ.; ერმალო ებრაელიძემ 1 ცალი—20 კ.; ვ. ა—შვილმა 4 ცალი ღირ. 1 მ. 25 კ.; სულ 34 წიგნი ღირებული 5 მ. 94 კ.;

ვანო არდიშვილი

ყურ-მოკრული საუბრები.

გულ-შემატკივარი მეგობარი.—რა გატირებს მეგობარო?

— მებრალები და იმიტომ ვტირი.

— რატომაო, ვითომ?

— როგორ რატომ, შე დალოცვილო, ვერ გაიგე, რომ იორამს ამ ზამთარ ოც თუმნიანი ქურქი უყიდნია თავის ცოლისათვის? ეხლა ხომ შენც საყიდელი შეგექნა... მაშ არ შეგიბრალო და არ ვიტირო!..

რედაქციისაგან

ზესტაფონში. ნარ-ეკალას. თქვენი საყვედურის წერილის დაბეჭდვა მოუხერხებელია განა თქვენ თვითონ არ იცით, რომ ზოგჯერ შეუძლებელია გაზეთში დამნაშავის დასახელება. ხოლო ყალბი არშინის ხმარება არ ახალი, ძველია ჩვენში.

სენაკში. XXX-ს. წერილი «არა მკითხე აბლაკატზე» ვერ დაიბეჭდება და ამაზე უკვე ამ სამი კვირის წინედ ღია ბარათით შეგატყობინეთ; ალბად არ მიგიღიათ, ღია ბარათში გწერდით, რომ თქვენს წერილს და საზოგადოთ მთელ იმ საქმეს პირადული ხასიათი აქვს-თქო.

ახ. სენაკში. კიტე ტურას. ამბავი «მედავითნე გლასნზე» ჩვენს გაზეთში ამ თვე ნახევრის წინედ იყო დაბეჭდილი,

ქ. კვინიხიძეს. ლექსებს ჩვენ არ ვბეჭდავთ.

ბათომში. თეიმ თოფურიას. თქვენ მიერ გამოგზავნილი წერილი მივიღეთ, ხოლო შიგ არა იყორა ორი ფოსტის თაბახისა.

ფოთში. კ—ნე ნ—ას. თქვენს წერილს გაზეთის მკითხველებისათვის არავითარი ინტერესი არა აქვს, ხოლო ადგილს კი ბევრს დაიჭერს. გთხოვთ ამბები მოკლედ გვაცნობოთ ხოლმე.

თეატრის მატიანე

ქართულმა წარმოდგენამ, რომელიც გამართული იყო გუშინ-წინ გ. გედევანოვის საბენეფისოდ, მწყობრად და მხიარულად ჩაიარა. შეგნებით შეასრულა მთავარი როლი პიესისა თვითონ კრიჟანგი ჰარპაგონისა გ. გედევანოვმა. როლი კარგად შეესწავლა პატივცემულს არტისტს, ხოლო მისს თამაშს აკლდა ის ხელოვნებითი სიფაქიზე, რომელიც ააზღვრავს ტიპს ხასიათისაგან. გედევანოვის ჰარპაგონი მეტად ტლანქი და გაუშალაშინებელი იყო. ყოველ შემთხვევაში არტისტი მადლობის ღირსია, რომ ეგ კლასიკური პიესა დადგა თავისს საბენეფისოდ და ქართველ საზოგადოებას გააცნო უკვდავის მოლიერის საუკეთესო ტიპი.

დანარჩენ მსახიობთ საიმისო როლები აღარ ჰქონდათ: მშვენიერი იყო კ. მესხი მსახურ ჟაკის როლში, აიცილით დახოცა საზოგადოება თავისის ხელოვნურის და შეგნებულის თამაშობით. შათირიშვილი და სვიმონიძე ძალზე ცდილობდნენ როლები კარგად შეესრულებინათ. ჩერქეზიშვილისამ ჩვეულებრივ მკვირცხლად ჩაატარა თავისი პატარა როლი. გამყრელიძისა და კარგარეთლისა ორნივე მშვენივრად იყვნენ ჩაცმულები და ეგ უკანასკნელი-კი ზედ მეტად ძალზე ლამაზად მოსჩანდა სცენიდან...

ხალხი, სამწუხაროდ, იმდენი ვერ დაესწრო, რამდენსაც ველოდით.

მობენეფისეს მიართვეს რამდენიმე საჩუქრები და საზოგადოებაც თანაგრძნობით ეკიდებოდა და ყოველს მისს გამოსვლას ტაშით ხვდებოდა.

შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია კვირას ეფ. მესხის მონაწილეობით. წარმოდგენილი იქნება «და-ძმა».

V

სადღეისოდ

გულ-სწრაფობა სიბოროტეა. ჩვენი ბრძნული ანდაზა ამბობს: „აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო“ და მართლაც აჩქარება ხშირად საგანს ვერ აღწევს და მავნებელიც არის. აჩქარება, აფუსფუსება და აწრაფება უფრო თვისებაა გამოუცდელობისა, დაულაგებლობისა და საზოგადოდ ყმაწვილურის მოუსაზრობისა. საუკეთესო ხანას ადამიანის ცხოვრებისას სიჭაბუკეს და სიყმაწვილეს მხოლოდ ეგ აჩქარება და აწრაფება-და ჰკორპლავს... თავდაუჭერლობა, მოუფიქრებლობა და გადამეტება სწორედ შედეგია აწრაფებისა. მრავალი სხვა-და-სხვა არ მოსაწონი საქციელი და ბოროტებაც-კი უფრო მეტად წარმოსდგება ხოლმე გულ-სწრაფობით...

თუ ახალგაზრდობაში გასაკიცხია აჩქარება და გულ-სწრაფობა, სრულს წლოვანობასა, ხნოვანობასა და სიბერეში—დარბაისლობაში გულ-სწრაფობა მომაკვდინებელ ცოდოდ უნდა ჩაითვალოს... ჭაბუკურ სისხლს თუ კანონიერი დუღილი მიეტევება, დარბაისელს და «წელთა რაოდენობით» გამოცდილს გონებას არ ეპატიება მოუფიქრებელი ლაპარაკი.

საანბანო ზრდილობას რომ თავი დავანებოთ, რომელიც გულ-სწრაფობას მუდმივ დაჩაგრული ჰყავს, ქალარა შერეულ ხნოვანობას მხოლოდ დარბაისლობა და სიდინჯე შვენის, ხოლო ამ ხანას «კაცობისას» თუ გულ-სწრაფობა და თუნდაც ავადმყოფი «ნერვებიც» სძლევს, ეგ სწორედ თვითონ კაცის სიძაბუნეს, მის ზნეობრივ-გონებრივ სისუსტეს და საზოგადოდ ბუნების სიბოროტეს ჰმოწმობს!..

ვ. გორგასლანი

საოჯახო ცნობანი

ლიმონის წყალი სასმელად. უნდა აიღოთ 1½ გირვანქა ფქვილი შაქარი, ერთი აბაზის ლიმონის ზეთი და 30—36 მისხალი ლიმონის სიმჟავე (მარილი). ეგ წამალი ერთმანერთში უნდა აურიოთ და მჭიდროდ თავ-მოკრულს ჭურჭელში შეინახოთ. ერთს ბოთლს წყალს ეყოფა ერთი სტოლის კოვზი წამალი და სასმელი გემრიელი გამოვა.

სხვა-და-სხვა ამბავი

ზოგიერთა ცნობები ღრმად მოხუცებულებზე: საინტერესო ცნობები ამოკითხეთ სატახტო გაზეთებში იმის შესახებ, თუ ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოებში რამოდენი კაცი ცოცხლობს ას წლამდე: საფრანგეთში 40 მილიონი მცხოვრებია და მათგან მხოლოდ 213 კაცს მიუღწევია ას წლამდე, გერმანეთში 55 მილიონი მცხოვრებია და ასის წლისანი მხოლოდ 78 კაცია; ისპანიაში სულ 18 მილიონი მცხოვრებია და მათგან 401 კაცი ასის წლისანია, ინგლისში 146 კაცია ასის წლისა, ირლანდიაში 578, შოტლანდიაში 46, დანიაში 2, ბელგიაში 6, შვეციაში 19, ნორვეგიაში 23 და შვეიცარიაში-კი სულ ერთიც ვერა სცოცხლობს ას წლამდე. ბალკანეთის სახელმწიფოებში უფრო ბევრნი სცოცხლობენ დიდ-ხანს, ასის წლისანი ხომ ხშირია და ხშირი, მაგალითად: რუმინეთში 1084, ბულგარეთში 2883, სერბიაში 578; სერბიაშივე 1880 წელს ითვლებოდა 18 კაცი 126—135 წლისანი და 3 კაცი 135—140 წლისანი. ყველაზედ უხუცესი კაცი რუსეთში აღმოჩნდა და იგი 160 წლისა არის, მეორე ადგილი უჭირავს ერთს აფრიკანელს, რომელსაც 150 წელიწადი იცოცხლა, ამათ მერმე პირველი ადგილი ისევ რუსებს უჭირავს: ერთი მოსკოველი მედლე 140 წლისა არის და ერთიც ციმბირელი ქალი 130 წლისა.

წვრილი ამბავი

ახალი ზარბაზანი. საფრანგეთის ჯარის პოლკოვნიკს გუმბერტს გამოუგონია ახალი ზარბაზანი, რომელიც არც ხმას იღებს, თურმე, და არც ბოლი ასდის. ეს ახლად გამოგონილი ზარბაზანი რამდენჯერმე უცდიათ კიდეც და ძალიან კარგი გამომდგარა.

—

ქალების უნივერსიტეტი. ამ მოკლე ხანში ლონდონში დიდი კრება ყოფილა, რომელზედაც გადაუწყვეტნიათ დაარსონ კერძოთ ქალების უნივერსიტეტი.

—

„მოდის“ მსხვერპლნი. აი, რამდენი ფრინველები საჭიროა ევროპას ყოველ წლივ ქალთა ქუდებისა და სხვა სამკაულისათვის: მთელი ევროპა 300 მილიონზე მეტს ჩიტებსა ჰხოცავს ამ საჭიროებისათვის, ინგლისსა საჭიროა ყოველ წლივ 25 მილიონი სხვა და სხვა ფრინველი. ერთი ლონდონელი ვაჭარი ასაღებს წელიწადში 400 ათასზე მეტს ბეღურაზე უფრო პაწია ფრინველს, 6000 „სამოთხის“ ჩიტს და 500 ათასზედ მეტს კიდევ სხვა და სხვა ფრინველებს. მეორე ვაჭარი ჩიკაგოში (ამერიკა) ჰყიდის ყოველ წლივ 32 ათასს ბეღურას, 60 ათასს წყლის ჩიტებსა და 300 ათასზე მეტს სხვა და სხვა ჩიტების ფრთებს. ფრინველებს ამ საჭიროებისათვის განსაკუთრებით აღმოსავლეთ ინდოეთში და ბრაზილიაში იჭერენ ხოლმე.

არც ჩვენში ჩამორჩებიან ქალები ამ მხრით ევროპიელებს! ღვთით, აქაც ბლომად საღდება ჩიტის ფრთები და ბუმბული «შლიაპებისათვის»! აქაო და მოდა არისო, და ლამის მთელი ინდოურები და არწივები გაირჭონ ქუდში!

განცხადებანი

იძლევა ქირით

ოთხი ოთახი

წყლითა და მისი კუთვნილებით

საპიონის ქუჩა, № 4, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (3—1)

ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს საყოველთაოდ საცნობელად, რომ ნიხრით გირვანქა ღორის ხორცის ფასი, რა ნაჭერიც უნდა იყოს, 5 კაპ. დადგენილი. თუ ვინიცობაა, რომელმამე ყასაბმა მეტი მოსთხოვა ვისმე, იმათ ქალაქის გამგეობა სთხოვს აცნობონ სავაჭრო პოლიციას ფარდულში, რომელიც სავაჭრო მოედნებზედ იმყოფება და ან ქალაქის გამგეობას, სადაც ამის გამოცხადება შეიძლება სიტყვიერადაც და ქალაქის ფოსტითაც. (3—2)

1898.
ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА ПОЛИТИЧЕСКУЮ, ОБЩЕСТВЕННУЮ И ЛИТЕРАТУРНУЮ
ГАЗЕТУ

„Казбекъ“

(годъ изданія третій)

Выходитъ въ Владикавказѣ **три раза** въ недѣлю, а въ прочіе дни по мѣрѣ накопленія матеріала выпускаются прибавленія, въ коихъ печатаются телеграммы, справочныя свѣдѣнія и объявленія.

Возбуждено ходатайство о разрѣшеніи выпускать газету вмѣсто трехъ разъ въ недѣлю—ежедневно, безъ увеличенія подписной платы.

СОСТАВЪ РЕДАКЦІИ УВЕЛИЧЕНЪ.

Программа газеты:

1) Дѣйствія и распоряженія правительства;
2) Статьи по экономическимъ, этнографическимъ, бытовымъ и другимъ вопросамъ, касающимся Кавказа вообще и Терской области по преимуществу;
3) Хроника, мѣстныя происшествія, извѣстія внутреннія и внѣшнія съ указаніемъ ихъ источниковъ.
4) Корреспонденціи изъ разныхъ мѣстъ и телеграммы;
5) Судебная хроника, безъ обсужденія рѣшеній;
6) Фельетонъ, новости изъ области наукъ и искусствъ, повѣсти, разсказы, очерки оригинальные и переводные, статьи популярно-научнаго содержанія.
7) Смѣсь, справочныя свѣдѣнія и объявленія.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

съ доставкою на домъ въ Владикавказѣ:		съ пересылкою по почтѣ иногороднымъ:	
На 12 мѣс.	6 р. 00 к.	На 12 мѣс.	7 р. 00 к.
„ 6 „	3 р. 50 к.	„ 6 мѣс.	4 р. 00 к.
„ 3 „	2 р. 00 к.	„ 3 мѣс.	2 р. 50 к.
„ 1 „	00 р. 75 к.	„ 1 мѣс.	1 р. 00 к.

Подписка принимается въ Владикавказѣ, Грозненская ул. д. Б. Казарова—у издателя газеты **С. І. Казарова.**

Годовые подписчики на 1898 годъ, подписавшіеся раньше 1-го января будутъ получать газету со дня подписки безплатно. (3—1)

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1898 г. на

СѢВЕРНЫЙ ВѢСТНИКЪ,

журналъ литературно-научный и политическій.

Въ первыхъ книжкахъ „Сѣв. В.“ 1898 г. будутъ напечатаны повѣсти **В. Микуличъ, В. Немировича-Данченко, О. Шапиръ; „Современная наука“ Кампентера,** съ введеніемъ гр. **Л. Н. Толстого, „Съ Губернаторахъ“** прив.-доц. **В. Гесена, „Проектъ уголовнаго уложенія“** проф. **И. Фойницкаго, „Мицкевичъ и Русское Общество“ В. Чуйко, „Рабочее законодательство въ зап. Европѣ“ Н. Райхесберга и мн. др.;** въ приложеніи къ журналу будетъ данъ переводъ **книги проф. Штаммлера: „Хозяйство и право съ точки зрѣнія матеріалистическаго пониманія исторіи“.**

Въ журналѣ принимаютъ участіе слѣдующія лица:

Н. Арефьевъ, К. Бальмонтъ, проф. Ѳ. Батюшковъ, П. Боборыкинъ, П. Вейнбергъ, А. Волынскій, Н. Геренштейнъ, прив.-доц. В. Гессенъ, П. Гнѣдичъ, М. Горькій, Н. Дружининъ, А. Каменскій, Н. Карабчевскій, В. Каренинъ, проф. А. Кирпичниковъ, А. Коптяевъ, Б. Корженевскій, Котъ-Мурлыка, М. Лохвицкая, К. Льдовъ, Е. Лѣткова, В. Микуличъ, Н. Минскій, Вас. Немировичъ-Данченко, Вл. Немировичъ-Данченко, Ф. Нефедовъ, проф. Д. Овсянико-Куликовскій, проф. И. Оршанскій, М. Петровъ, А. Рейгонльдтъ, Л. Саломэ, проф. В. Сергѣевичъ, С. Смирнова, А. Субботинъ, П. Тверской, гр. Л. Н. Толстой, проф. А. Трачевскій, М. Чайковскій, В. Чуйко, О. Чюмина, О. Шапиръ, В. Шенрокъ, А. Шеллеръ, проф. Л. Шепелевичъ, В. Ширковъ, проф. И. Фойницкій, К. Фофановъ, проф. Н. Холодковскій, І. Ясинскій, А. Эртель и мн. др.

Въ 1898 г. въ «Сѣв. В.» напечатаны беллетристическія произведенія гг. **П. Гнѣдича, М. Горькаго, Кота-Мурлыки, Вл. Немировича-Данченко, С. Смирновой, В. Ширкова, І. Ясинскаго** и др., статьи гг. **Н. Дружинина, Н. Карабческаго,** проф. **А. Кирпичникова,** проф. **Д. Овсянико Куликовскаго,** проф. **И. Оршанскаго,** проф. **В. Сергѣевича,** проф. **А. Трачевскаго, М. Чайковскаго, В. Чуйко,** проф. **Л. Шепелевича,** проф. **Е. Шмурло** и мн. др.

Начиная съ майской книги 1897 г. „Сѣверный Вѣстникъ“ издается
БЕЗЪ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ ЦЕНЗУРЫ

Съ облегченіемъ условій изданія, въ виду снятія съ журнала предварительной цензуры, редакція „Сѣвернаго Вѣстника“ желаетъ расширить провинціальный отдѣлъ и проситъ лицъ, имѣющихъ къ тому возможность, доставлять матеріалы, пригодные для обработки въ областномъ отдѣлѣ, а также самостоятельныя замѣтки и корреспонденціи касательно явленій мѣстной жизни, текущихъ интересовъ мѣстнаго общества, народнаго образованія, дѣятельности губернскихъ и уѣздныхъ земствъ, всевозможныхъ общественныхъ начинаній и т. п.

Подписка принимается: во всѣхъ извѣстныхъ книжн. магаз. столицъ и провинцій. **Главная контора:** Спб., Б. Московская, д. 11, въ **Москвѣ**—въ конт. **Н. Печковской,** Петровскія линіи.

Условія подписки:	Годъ:	На полгода:	На 3 мѣс.:	Одинъ мѣс.:
Для иногородн. съ перес.	12 р.	6 р. — к.	3 р. — к.	1 р.
Въ Спб. съ дост.	11 »	5 „ 50 »	2 » 75 „	1 »
Для заграничныхъ.	14 »	7 „ — »	4 » — „	

Для казенныхъ и общественныхъ учрежденій допускается подписка въ **кредитъ** (при подпискѣ въ Гл. Конторѣ); также и для частныхъ лицъ, состоящихъ на службѣ—за ручательствомъ гг. казначеевъ.

Пробный № высылается за 28 к. (марками). Новые подписчики получатъ безплатно первыя части (напечат. въ 1897 г.) истор. ром. Генр. Сенкевича «Крестоносцы» который продолжится печатаніемъ въ 1898 г.

(12—1) Редакторъ-издательница **Л. Я. Гуревичъ.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19-го Декабря, 1897 г.

სტამბა ექ. ი. ხელაძისა, ღოღის-მელიქოვის ქ., № 28.

რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია